www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

2022 წელი

I კვარტალი

03.06.2022

www.geostat.ge

03.06.2022

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

(2022 წლის I კვარტალი)

ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2022 წლის I კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 33.2 პროცენტით გაიზარდა და 38.6 მილიარდი ლარი შეადგინა.

ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2022 წლის I კვარტალში მისი მოცულობა 14.1 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 37.0 პროცენტით მეტია:

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მოცულობა კვარტლების მიხედვით



03.06.2022

2022 წლის I კვარტალში მთლიანი ბრუნვის 66.4 პროცენტი მოდის მსხვილ ბიზნესზე, 15.1 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 18.5 პროცენტი - მცირე ბიზნესზე.

მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 49.1 პროცენტი, საშუალოზე - 23.4 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე - 27.5 პროცენტი.

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები საწარმოთა ზომების მიხედვით, 2022 წლის I კვარტალი



საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 2022 წლის I კვარტალში 22.1 მლრდ. ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 38.6 პროცენტით მეტი), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა - 14.2 მლრდ. ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 35.9 პროცენტით მეტი) შეადგინა.

2022 წლის I კვარტალში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 673.6 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 8.2 პროცენტით მეტია. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 42.8 პროცენტი ქალია, ხოლო 57.2 პროცენტი - კაცი.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა
კვარტლების მიხედვით



დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 42.6 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 20.5 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 37.0 პროცენტი - მცირე ბიზნესზე.

საანგარიშო პერიოდში, დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 637.1 ათასი კაცი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 8.7 პროცენტით მეტი), ხოლო საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე - 2 889.9 მლნ. ლარით განისაზღვრა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 25.7 პროცენტით მეტი).

2022 წლის I კვარტალში საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორში 1 479.7 ლარს გაუტოლდა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 196.2 ლარით), მათ შორის ქალების ხელფასმა შეადგინა 1 186.8 ლარი (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 168.2 ლარით).

საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია:

- მსხვილი ბიზნესი – 1 566.5 ლარი
- საშუალო ბიზნესი – 1 776.5 ლარი
- მცირე ბიზნესი – 1 170.9 ლარი.

03.06.2022

2022 წლის I კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი - 36.6 პროცენტი მოდის ვაჭრობა (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით) დარგზე, მეორე ადგილზეა ხელოვნება, გართობა და დასვენებa 30.4 პროცენტიანი წილით, შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა - 10.6 პროცენტიანი წილით, მშენებლობა - 5.0 პროცენტიანი წილით, ტრანსპორტი და დასაწყობება - 4.9 პროცენტიანი წილით, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება - 4.3 პროცენტიანი წილით, ხოლო დარჩენილი 8.3 პროცენტი კი სხვა დარგებზე ნაწილდება:

ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურა,
2022 წლის I კვარტალი



03.06.2022

2022 წლის I კვარტალში ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ და მეორე ადგილებს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა (24.9 პროცენტი) და ვაჭრობა (17.6 პროცენტი), შემდეგ მოდის მშენებლობა (14.6 პროცენტი) და ტრანსპორტი და დასაწყობება (9.5 პროცენტი), ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 33.4 პროცენტიანი წილი უჭირავს.

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების სტრუქტურა, 2022 წლის I კვარტალი



03.06.2022

2022 წლის I კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით ბიზნეს სექტორში ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობისა და ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქმიანობების დარგები ლიდერობენ შესაბამისად, 27.6 პროცენტი, 13.0 პროცენტი და 10.9 პროცენტიანი წილებით. სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდის აგრეთვე მშენებლობის (8.4 პროცენტი), ტრანსპორტისა და დასაწყობების (8.2 პროცენტი), განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების (4.7 პროცენტი) და ინფორმაცია და კომუნიკაციის (4.6 პროცენტი) დარგის საწარმოებზეც:

ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობის სტრუქტურა, 2022 წლის I კვარტალი



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილება სქესისა და ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:



03.06.2022

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორის ბრუნვის მაჩვენებლების ცვალებადობა - 2022 წლის I კვარტალი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის ბრუნვა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

ბრუნვა (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2021 წლის I კვარტალი	2022 წლის I კვარტალი	2022 წლის I კვარტლის ზრდის ტემპი 2021 წლის I კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**28 949.3**	**38 564.3**	**133.2**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	156.4	162.1	103.6
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	283.6	355.4	125.3
დამამუშავებელი მრეწველობა	2 556.7	4 071.6	159.3
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	1 213.8	1 671.3	137.7
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	76.1	89.2	117.3
მშენებლობა	1 453.4	1 942.6	133.7
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	10 746.3	14 099.2	131.2
ტრანსპორტი და დასაწყობება	1 367.1	1 872.0	136.9
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	229.5	428.9	186.9
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	52.6	161.7	307.5
საკვებით და სასმელებით მომსახურება	176.9	267.2	151.1
ინფორმაცია და კომუნიკაცია	511.8	668.0	130.5
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	247.1	364.9	147.7
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	318.5	375.2	117.8
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	136.6	218.4	159.8
განათლება	125.8	133.5	106.1
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	315.7	361.3	114.5
ხელოვნება გართობა და დასვენება	9 182.4	11 714.7	127.6
სხვა სახის მომსახურება	28.5	35.9	126.1

03.06.2022

შემდეგი ცხრილი ასახავს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლების ცვალებადობას 2022 წლის I კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2021 წლის I კვარტალი	2022 წლის I კვარტალი	2022 წლის I კვარტლის ზრდის ტემპი 2021 წლის I კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**10 285.0**	**14 088.7**	**137.0**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	148.5	185.8	125.1
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	284.1	346.0	121.8
დამამუშავებელი მრეწველობა	2 470.3	3 507.5	142.0
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	494.0	728.6	147.5
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	80.7	97.6	121.0
მშენებლობა	1 558.2	2 053.3	131.8
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	1 886.3	2 479.5	131.4
ტრანსპორტი და დასაწყობება	953.9	1 344.4	140.9
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	233.4	432.1	185.2
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	56.5	164.9	291.7
საკვებით და სასმელებით მომსახურება	176.8	267.2	151.1
ინფორმაცია და კომუნიკაცია	481.6	632.3	131.3
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	245.9	355.8	144.7
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	276.9	327.3	118.2
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	121.7	167.3	137.4
განათლება	133.4	140.1	105.0
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	557.2	665.0	119.3
ხელოვნება გართობა და დასვენება	332.3	591.6	178.0
სხვა სახის მომსახურება	26.6	34.7	130.5

03.06.2022

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების ცვალებადობა 2022 წლის I კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი) NACE REV. 2	2021 წლის I კვარტალი	2022 წლის I კვარტალი	2022 წლის I კვარტლის ზრდის ტემპი 2021 წლის I კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**622 746**	**673 616**	**108.2**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	11 156	11 376	102.0
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	10 521	11 691	111.1
დამამუშავებელი მრეწველობა	84 914	87 735	103.3
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	15 817	15 014	94.9
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	14 751	14 590	98.9
მშენებლობა	56 174	56 457	100.5
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	169 566	185 583	109.4
ტრანსპორტი და დასაწყობება	49 638	55 179	111.2
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	21 775	31 771	145.9
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	6 920	12 510	180.8
საკვებით და სასმელებით მომსახურება	14 854	19 261	129.7
ინფორმაცია და კომუნიკაცია	25 551	30 702	120.2
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	16 595	17 188	103.6
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	21 160	21 450	101.4
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	17 751	18 852	106.2
განათლება	24 054	24 214	100.7
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	72 121	73 163	101.4
ხელოვნება გართობა და დასვენება	5 521	12 575	227.8
სხვა სახის მომსახურება	5 680	6 074	107.0

რეგიონების მიხედვით მთლიან **ბრუნვაში** ლიდერობს ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 77.2 პროცენტი
- იმერეთი – 5.5 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 5.4 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 5.1 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 2.1 პროცენტი.

რეგიონების მიხედვით პროდუქციის მთლიან **გამოშვებაში** ლიდერობს კვლავ ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 61.2 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 10.1 პროცენტი
- იმერეთი – 8.4 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 8.1 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.7 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს რეგიონების (ქ. თბილისის გარდა) მიხედვით ბრუნვასა და პროდუქციის გამოშვებას (მლნ. ლარი):



დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით შემდეგ¬ნაი¬რად ნაწილდება:

- ქ. თბილისი – 64.9 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 8.4 პროცენტი
- იმერეთი – 7.1 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 6.1 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.8 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს ცალკეულ რეგიონში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



შენიშვნები

1. სტატისტიკურმა გამოკვლევამ არ მოიცვა:

- საქმიანობის სექტორები K, O, T, U
- 47.8 (საცალო ვაჭრობა ფარდულებში და ბაზრობებზე)

2. გამოკვლეული საწარმოები კლასიფიცირდებიან:

- ძირითადი საქმიანობის შესაბამისად,
- ფაქტიური მისამართის შესაბამისად.

3. ადგილობრივი საქმიანობის სახის ერთეულის, როგორც სტატისტიკური ერთეულის შემოღებამდე ქ. თბილისში ჩართულია რამოდენიმე მსხვილი საწარმო:

1. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
2. შპს „საქართველოს ფოსტა“
3. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
4. სს „სილქნეტი“
5. სს „საქართველოს რკინიგზა“
6. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
7. სს „საქენერგორემონტი“
8. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და ა.შ.

რელიზში გამოყენებულია **ეკონომიკური საქმიანობის სახეების** შემდეგი **კლასიფიკაცია: ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია** (ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev.2) სექციების დასახელებები

A	„სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა“
B	„სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება“
C	„დამამუშავებელი მრეწველობა“
D	„ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება“
E	„წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები“
F	„მშენებლობა“
G	„საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი“
H	„ტრანსპორტი და დასაწყობება“
IV	„განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები“
J	„ინფორმაცია და კომუნიკაცია“
K	„საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები“
L	„უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები“
M	„პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები“
N	„ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები“
O	„სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება“
P	„განათლება“
Q	„ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები“
R	„ხელოვნება გართობა და დასვენება“
S	„სხვა სახის მომსახურება“
T	„შინამეურნეობების როგორც დამქირავებლის საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის“
U	„ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები“

წყარო: საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა (კვარტალური)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:
ალექსანდრე არაბული, ტელ: 2 36 72 10 (200) E-mail: aarabuli@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020) E-mail: mkavelashvili@geostat.ge